

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

დადგენილება №6

2017 წლის 26 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის №12 დადგენილების ნაწილის ბათილად ცნობისა და ამავე დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ადგენს:

მუხლი 1

1. ბათილად იქნეს ცნობილი „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის №12 დადგენილების (სსმ III, 31.10.2005, №127, მუხ.1415):

ა) 3¹ პუნქტში სიტყვები: „და აქციზის“;

ბ) დანართი №1-ში სიტყვები: „და აქციზის“.

2. ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობილი ნაწილების მოქმედება შეწყდეს მათი ბათილად ცნობის დღიდან.

მუხლი 2

„რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის №12 დადგენილებაში (სსმ III, 31.10.2005, №127, მუხ.1415) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების 3¹ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3¹. რეგულირების საფასურის ოდენობაა მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევის (მიწოდების) ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0.75 პროცენტი.“;

ბ) დადგენილების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირები და მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირები ვალდებული არიან ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, ამ დადგენილებით განსაზღვრული ფორმით (დანართი №1) ელექტრონულად, კომისიის საერთო სტატისტიკური ბაზის (<http://stats.gncc.ge>) ფორმა 1.9-ის (რეგულირების საფასურის გაანგარიშების ფორმა) საშუალებით, წარუდგინონ კომისიას ინფორმაცია საანგარიშო თვის გაანგარიშებული რეგულირების საფასურის თაობაზე და ჩარიცხონ კომისიის ანგარიშზე რეგულირების საფასური.“;

გ) დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1

რეგულირების საფასურის გაანგარიშების ფორმა

(ფორმა 1.9)

რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირებისათვის და მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირებისთვის



1	გადამხდელის დასახელება			
2	გადამხდელის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი			
3	გადამხდელის მისამართი			
4	გადამხდელის ტელეფონის ნომერი			
5	წარედგინება			
6	საანგარიშო თვე და წელი			
7	ფორმის სახე			
8	ფორმის წარდგენის თარიღი			
9	ფორმის რეგისტრაციის ნომერი			
	შემოსავლის დასახელება	თანხა ლარში	გადასახადის განაკვეთი	გადასახადის თანხა ლარში
10	ელექტრონული კომუნიკაციების სფეროდან დღგ-ის გარეშე		0.75%	
11	მაუწყებლობის სფეროდან დღგ-ის გარეშე		0.5%	

გაანგარიშების ფორმაში მონაცემების სისრულეს და უტყუარობას ვადასტურებ:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის პირველი ნოემბრიდან.

თავმჯდომარე
კომისიის წევრი
კომისიის წევრი
კომისიის წევრი
კომისიის წევრი

კახი ბექაური
მერაბ ქათამაძე
ელისო ასანიძე
ვახტანგ აბაშიძე
გიორგი ფრუიძე

